№ 219
შაბათი, 15 ოკტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 219
შაბათი, 15 ოკტომბერი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად: და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ამა ოქტომბრის 13 რიცხვიდგან, **ყოველდღე, დილის 9 საათზედ**, ეგზარხოსის წმ. ჯვარის ეკლესიაში მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის მიერ **ვარდახდილი იქმნება პარაკლისი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებლად.** (3—უ.—2)

## ტფილისი, 14 ოქტომბერი

ერობის უფროსების (земскій начальникъ) დანიშვნასთან ამ მოხელეებს ერთი საოცარი უფლებაც მიენიჭათ—უფლება ადამიანის „გაროზგვისა“, ჯოხის ქვეშ გატარებისა, რაც ერთს ხანს რუსეთის მთავრობამ სრულიად აღკრძალა და უარ-ჰყო, რადგან იგი ზნეობრივად შეურაცხჰყოფს და ჰლახავს ადამიანობას, ღირსებას ადამიანისასა. სასამართლომაც რომ გადაუწყვიტოს ვისმე ასეთი სასჯელი, ერობის უფროსს შეუძლიან შეუცვალოს კიდეც ეს სასჯელი და აღუსრულოს კიდეც. წინანდელი აზრი ბოლოს დროს უარ-ყოფილ იქმნა და „როზგი“ ისევ გაბატონდა.

მოსალოდნელი იყო, რომ ეს უფლება მხოლოდ კანონში აღნიშნულად დარჩებოდა და განხორციელებული არ იქმნებოდა, რადგან ჩვენს დროს იგი ცხოვრებას უფრო უკან-სვლის, დაბეჩავების ფერსა და იერსა სდებდა, ვიდრე განათლებისასა და წარმატებისას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ერობის უფროსებმა სრულის უფლებით ისარგებლეს თურმე. ამას ნათლადა ჰმოწმობს დადგენილება ჩერნიგოვის გუბერნიის საერო მასწავლებლებისა და მასწავლებელქალებისა. აი ეს დადგენილება: „სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი, განაგრძობენ რა თვითგანვითარებას, იმდენად განათლებულნი და შეგნებულნი ჰხდებიან, რომ „როზგი“, არამც თუ სხეულის დამამახინჯებელ იარაღად, ზნეობრივ შეურაცხებადა და ადამიანობის ღირსების შეგინებად მიაჩნიათ. ამიტომ ვთხოვოთ ჩერნიგოვის გუბერნიის ერობას შუამდგომელობა დაიწყოს მთავრობის წინაშე, რომ ერობის სასწავლებლები იმ სასწავლებელთა რიგობას დააკუთვნოს, რომელშიაც სწავლის დამთავრება ანთავისუფლებს ადამიანს „როზგით“ დასჯისაგანაო“.

არა გვგონია, რომ ასეთი შუამდგომლობა, კიდეც რომ დაიწყოს ერობამ, ფონს გავიდეს, რადგან, რამდენადაც გვახსოვს, 1891 წელს რუსეთის რომელიღაც ერობამ ასეთივე შუამდგომლობა დაიწყო სასჯულო საქმეთა სამინისტროს წინაშე, მაგრამ პასუხად მოუვიდა: ჯერ ერთი, ეს საერთო განკარგულებაა უმაღლესის მთავრობისა და ერთს რომელსამე ერობას ასეთ განკარგულების შესახებ შუამდგომლობის ნება არა აქვს და, მეორე, ერობის უფროსნი თავისს თანამდებობაზედ მთავრობის მიერ არიან დანიშნულნი, მთავრობამ იმათ მიანდო ეგ საქმე და ღირსეულადაც შეიძლებენ ისინი ამ მინდობილობის აღსრულებას, ვინც ღირსია „როზგისა“, «გაროზგავენ», ვინც არა და—არაო.

ესეც არ იყოს, ასეთი შუამდგომლობა მხოლოდ საერო მასწავლებელთა შესახებ სამართლიანად არ მიგვაჩნია, რადგან ვგონებთ გლეხ-კაცის, წერა-კითხვის არ მცოდნეს „გაროზგვაც“ მისი „ზნეობრივად შეურაცხყოფაა და ადამიანის ღირსების შეგინება“. ცხოველიც-კი, პირუტყვიც ამ მხრივ კანონის მიერ უზრუნველ-ყოფილია, რადგან ყოველი გლეხი, რომელიც პირუტყვს უდიერად მოეკიდება, ცემა-ტყეპას დაუწყებს, შეიძლება პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მიერ სამართალში იქმნას მიცემული და აქ-კი ჩერნიგოვის საერო მასწავლებლები თავისის დადგენილებით იმას ამბობენ, რომ „როზგს“ ჩვენ, სწავლადამთავრებულნი, ვერ ავიტანთ, იგი ჩვენი ზნეობრივად შეურაცხმყოფელია, ჩვენის ადამიანობის ღირსების შემგინებელია, ესე იგი ამითი თითქოს იმას ჰგულისხმობენ, რომ გლეხ-კაცობისათვის, სწავლა-დაუმთავრებელისათვის-კი არაფერია, „როზგი“ იმათს ზნეობას ვერ შეურაცხ-ჰყოფს იმათს ადამიანობას ვერ შეაგინებსო...

რამდენად სამართლიანის თვალით შეჰხედა ამ საგანს სმოლენსკის გუბერნიის ერთმა ერობის უფროსმა, ამას შემდეგი მაგალითი გვარწმუნებს, რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილი: სმოლენსკის გუბერნიის გჟატსკის მაზრის მესამე ნაწილის ერობის უფროსი სულ არავისა „ჰროზგავდა“. როდესაც გუბერნატორმა განიხილა მისი საქმეები და უსაყვედურა, ამ უფლებით რატომ არ გისარგებლნიათო, აი თავისს გასამართლებლად რა მოსაზრება წარადგინა ერობის უფროსმა: „თუ „როზგით“ დასასჯელი არა თხოულობს ამ სასჯელის სხვა სასჯელად შეცვლას, სჩანს, რომ იგი სასტიკ სასჯელად არ მიაჩნია, თუმცა კანონით იგი ასეთ სასჯელად უნდა იყოს მიჩნეული; მაშასადამე, სასამართლოს განზრახვა, დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოსო, თავისს აზრსა და მნიშვნელობასა ჰკარგავს და ამიტომ „როზგის“ დაკვრის ნაცვლად სჯობს დამნაშავე დაპატიმრებულ იქმნას; ხოლო თუ დასასჯელი თხოულობს, „როზგს“ ნუ დამკრავთო, სჩანს ეშინიან „როზგისა“, მაგრამ შიში სირცხვილისა პირველ „გაროზგვისათანავე“ გაუვლის და მაშინ ეს სასტიკი სასჯელი იმისთვის სულ მცირე სასჯელად გადაიქცევა. ამასთან ამ სასჯელს შემდეგ დასჯილი ისე ჰკარგავს პატიოსნებასა და სირცხვილს, რომ სხვა ყოველს სასჯელსაც იმისთვის აღარავითარი სარგებლობა არ მოაქვს და ხასიათს ვერ უსწორებსო“.

ადგილობრივი ადმინისტრაცია სმოლენსკის გუბერნიისა ამ მოსაზრებას მიემხრო და საგუბერნიო საკრებულოს ერთმა წევრთაგანმა, ბ-ნმა ვორონოვსკიმ, თავისს ანგარიშში განაცხადა კიდეც: „დიდად საყურადღებოა, რამდენად ჰსარგებლობენ ერობის უფროსნი იმ უფლებით, რომლითაც მინიჭებული აქვთ დასაჯონ ანუ შეუცვალონ სასჯელი იმათ, ვისაც სასამართლო „გაროზგვას“ გადაუწყვეტავს; საყურადღებოა იმიტომ, რომ გაუფრთხილებლად, სავსებით გამოყენებამ ამ უფლებისამ შეიძლება მკვიდრნი დააქვეითოს ზნეობრივად, მკვიდრნი, რომელთა შორის უკვე შესამჩნევად განვითარდა პირადის ღირსების გრძნობა და დიდ სირცხვილად მიაჩნიათ კიდეც ასეთი სასჯელიო“.

აქედგან აშკარადა სჩანს, რამდენად მავნებელია „როზგი“ და რამდენად კერძოდ, ცალ-მხრივ, უსამართლოდ განუსჯიათ იგი ჩერნიგოვის საერო მასწავლებლებს, რაკი დაუდგენიათ, რომ მარტო სწავლა-დამთავრებულნი იქმნენ განთავისუფლებულნი ასეთის სასჯელისაგანაო. ეჭვი არ არის, რომ ფიზიკურად დასჯა, ადამიანის სხეულის დასახიჩრება სრულიად უნდა უარ-ყოფილ იქმნას, ვითარცა მავნებელი სასჯელი, და თუ შუამდგომლობაა, ის უნდა იშუამდგომლონ, რომ იგი სრულიად გაუქმდეს, თუმცა, ვიმეორებთ, ცალკე, ერთის რომელისამე ერობისაგან ასეთის შუამდგომლობის დაწყება საგანს ვერ მიაღწევს და ფონს ვერ გავა.

ფარნაოზი

---

# დეპეშა

13 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 13 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ: ღამე ხელმწიფე იმპერატორს ცოტა ეძინა; დილით ჩვეულებრივს დროს ადგა; მადა და თვით-მგრძნობელობა ისეთივე აქვს, როგორიც გუშინ ჰქონდა; სიმსივნე არ მოჰმატებია.

**პეტერბურგი, 14 ოქტომბერი.** ბიულეტენი 13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ. მთელის დღის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატორს არც ძილი მორევია და არც ხუთვა ჰქონია. მადა რიგიანი აქვს; სიმსივნეს არ მოჰმატებია.

---

გაზ. „Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: „უწმიდესმა სინოდმა, მოისმინა რა დიდის მჭმუნვარებითა და გულის ტკივილით ამბავი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის დასნეულებისა, სჯა ჰქონდა და დაადგინა: მიეწეროს სინოდის მოსკოვისა და ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორებს, საეპარქიო ყოვლად უსამღვდელოესობათ, სასახლის სამღვდელოების მმართველსა, სამხედრო და ზღვათა სამღვდელოების მწყემს-მთავარს და აგრეთვე მონასტერთა და უდაბნოთა უფროსებს, რომ მათგან დამოკიდებული განკარგულება გასცენ, რათა ყოველს ეკკლესიაში პარაკლისი იქმნას გარდახდილი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის სნეულებისაგან განკურნებისა და წირვის შემდეგ ექტენიებში მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის უავგუსტოესის სახელს რომ ახსენებს, აღმართოს ხოლმე ვედრება სნეულთა და უძლურთა განკურნებისა, ლოცვის საგალობელთა წესით დადგენილი.

---

# ახალი ამბავი

⁂ თანამდებობას, სამოსწავლო ოლქის მზრუნველისას, რომელიც თურქესტანში წავიდა სასწავლებლების სარევიზიოდ, დროებით ასრულებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი შენგერი.

⁂ იმ საქმეთა შორის, რომლებიც სახელმწიფო საბჭომ ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს, სხვათა შორის, არის საქმე ამიერ კავკასიის გასამიჯნავ დებულების 81 მუხლის დამატების შესახებ, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იყოს, რა ვადაზედ უნდა შეიტანონ საჩივარი ამა თუ იმ სახელმწიფო მამულების მმართველობის დადგენილობის გამო.

⁂ სატახტო ქალაქს გაზეთების სიტყვით, განზრახვა აქვთ კავკასიის ერთ ერთს მთაზედ კერძო ობსერვატორია დააარსონ.

⁂ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 11 ოქტომბერს მიუყვანიათ აზიური ხოლერით ავადმყოფი მარიამ ფარადაშვილისა, ქვრივი გორის მოქალაქისა, რომელიც მეორე დღეს უკვე გარდაიცვალა.

ამავე საავადმყოფოში გუშინწინ მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი, ცოლი ოსმალეთის ქვეშევრდომისა მელიქსეთოვისა, რომელიც მე-9 განყოფილების, ალექსეევის მისახვევში, მანდენოვის სახლებში სცხოვრობდა.

⁂ სოფ. მუხურა. (შორაპნის მაზრა). ჩვენში საქონლის ჭირი გაჩნდა და დიდი ზარალი მოგვცა, საქონელი ძლიერ ბევრი გაწყვიტა. მოსავალი ძალიან ნაკლებია, სიმინდი და ყურძენი ძნელად თუ იმის ნახევარი მოვიდეს, რაც შარშან მოვიდა.

⁂ იქიდამვე. აქ გარდაიცვალა ერთი ღრმად მოხუცებული კაცი ივანე ყვავაძე, ას-ოცის წლისა. საწყალს არც თვალს დაჰკლებია და არც ყურს ისე გაატარა თავისი სიცოცხლე. მოესწრო თავისს შვილის შვილის-შვილებს.

⁂ დ. ცხინვალი. 9 ოქტომბერს აქ ე. ერისთავისა, გ. ა. მაჩაბლის ასულთა და სხვა ყმაწვილ ქალთა თაოსნობით წარმოადგინეს ერთ ღარიბ მოსწავლის სასარგებლოდ სამ მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარლისა „ხანუმა“. მონაწილეობას იღებდნენ ამ საღამოს წარმოდგენაში: თავადის ერისთავის ასული, ოლღა და სოფიო ფავლენიშვილები, მ. მაჩაბლისა, ტ. მაჩაბლისა, თ. ნ. ერისთავი, თ. ი. მაჩაბელი, თ. კ. ხერხეულიძე, თ. ს. თაქთაქიშვილი და ბ-ნი ხიმშიაშვილი. წარმოდგენამ საერთოდ მხიარულად ჩაიარა, მაგრამ კი ვერ ვიტყვი რო ჩინებუ-

ლად ყოფილიყოს, რადგან ზოგიერთმა როლები არ იცოდა და პიესის რიგიანად წარმოდგენას ხელს უშლიდა.

ამ საღამოსთვის მოწვეული იყო გორიდან სამხედრო მუსიკა და ზურნა. ხალხიც ბლომად დაესწრო წარმოდგენას. წარმოდგენის შემდეგ იყო ბუნდოვანი სურათები. შემდეგ თ. ნ. ერისთავმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი და იმერული სცენა. დასასრულ გაიმართა ლეკური და ევროპიული ცეკვა. ეს საღამო ვახშმით დასრულდა.

*** გაზ. «Новости»-ს დეპეშით აუწყებენ ათონიდგან, რომ საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა ყოველი თავისი სამზადისი კორფუს კუნძულზედ, რომლის განკარგულებაც იმიტომ იყო მიცემული, რომ აქ მოელოდნენ რუსეთის უავგუსტოესის სახლობის მოსვლასა.

—

**შეცდომის გასწორება.** წერილში: «ყვავილის უებარი წამალი» ორს ადგილას დაბეჭდილია:—მუქ-წითელი შალი, უნდა ყოფილიყო: მუქ-წითელა შილა. აგრეთვე დაბეჭდილია: „იმისაგან არის თურმე დამოკიდებული“, უნდა ყოფილიყო: „იმაზედ არის თურმე დამოკიდებული“.

## დამაკვირდი

—

ადამიანის ფიქრისა და აზრისთანა თავისუფალი არა არის-რა.

დ. ჰომი

**

ცოლები თავიანთ ქმრებს ხშირად აძლევენ მიზეზს უცოლ-შვილო კაცს შეჰნატრონ.

**

ვინც ხანქოსა და ყომარს მისდევს, ის თავისს სულის მშვიდობიანობას გაურბის.

პფეფელი

## კორესპონდენცია

—

**ქ. გორი.** საკვირველია სწორედ გორის მაზრის მდგომარეობა. საქართველოს სხვა-და-სხვა პროვინციებში სწავლა-განათლება ვრცელდება და წინ მიდის ქართლი-კი უკან უფრო იწევს კიბოსავით. იმ დროს, როდესაც გურიაში, კახეთში, საერო სასწავლებლები, წიგთ-საცავები, და სამკითხველოები თან-და-თან მრავლდება და განთლების საქმე წინ მიდის, ქართლში-კი სრულიად სხვასა ვხედავთ. სასწავლებლები ისეთს ადგილებშიაც-კი არ არის, სადაც გარემოება ხელს უწყობს, ხელს უმართავს. მაგალითად მთელს ზემო ქართლში სულ ოთხი-ხუთი სასწავლებელია. იმისთანა სოფლებში, როგორიც ატოცია, ტეზერი, დირბი და სხვანი მრავალნი, ხსენებაც არ არის სასწავლებლისა, სამკითხველოსი და წიგნთ-საცავსა ვილა სჩივის, ამ მხრივ თვით სამაზრო ქალაქი გორიც ვერ უსწრობს სოფლებს. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა ჩვენს სამაზრო ქალაქში წიგნთ-საცავი და სამკითხველოები დააარსეს, მაგრამ აქ-კი ჯერ სად არის, გორს ისევ ღრმადა სძინავს. გორში მკითხველი საზოგადოება ძალიან ბლომად არის და ერთი წიგნთ-საცავი, სამკითხველო აუცილებელს საჭიროებას შეადგენს იმისთვის. წიგნთ-საცავის საჭიროება გორში ყველასთვის შესამჩნევია, ამას ყველა გორელი ჰგრძნობს და ეს საჭიროება, [illegible]ურვილი თანდათან უფრო ცხოვლდება. წიგნთ-საცავისათვის საჭირო სახლს, როგორც დარწმუნებით შევიტყეთ, პატივცემული ა. ხახანაშვილი უფასოდ უთმობს. ამის შემდეგ მოსალოდნელია, რომ გორიც ეღირსება დიდის ხნის ლოდინის შემდეგ წიგნთ-საცავს, თუ მოთავე გამოუჩნდა ვინმე.

გორში ერთი ვითომდა სტამბაც არსებობს, აგერ ეს შვიდი რვა წელიწადია. მაგრამ ერთი იკითხეთ რამდენი წიგნი დაჰბეჭდა სტამბამ? ექიმდის სულ სამი წიგნი თუ დაჰბეჭდილა.

ედილლი

## გურია და ზოგიერთი ძველი და ახალი ჩვეულება გურულებისა.

სოფ. ბახვს არის ახლად დამთავრებული მშვენიერი და დიდი ეკკლესია, ღვთისმშობლის სახელობაზე აგებული. ამ ეკკლესიის დღეობა მოდის 8 სექტემბერს. ამ ეკკლესიის აგებაში, როგორც სხვა მრავალ საქველ-მოქმედო საქმეში, დიდი ამაგი მიუძღვის ყოვლად სამღვდელო გაბრიელს, რადგანაც თვითონ ამ სოფლის შვილი ბრძანდება. ძნელად, რომ საქართველოში ამისთანა ახალი ნაშენი ეკკლესია მოიპოვებოდეს სადმე. თუმცა დღეობის წინა დღეებში წვიმიანი დარები იყო და ძალიან ხელი შეუშალა შორიდგან მომსვლელ მლოცველებს, მაინც, რაკი იმ დღეს კაი დარი იყო, დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, ასე რომ ეკკლესია და ეკკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით. ამ ეკკლესიის დღეობის წინა ღამეს იციან ღამის-თევა, დიდ-ძალი კაცი და ქალი იყრის თავს ღამის სათევლად ყოველ კუთხიდგან, მაგრამ, როგორც მითხრეს, ქალები თითქმის ნახევარზედ მეტი ფეხ-შიშველები მოდიან 30—40 ვერსტის მანძილიდგან შესაწირავის მისართმევად და სალოცავად. როგორც ეტყობა, ამ სიშორიდგან ფეხ-შიშველი ქალების მოსვლის მიზეზი უნდა იყვნენ მკითხავ-მარჩიელები, რომელნიც თურმე კარგა ბლომად მოიპოვებიან გურიაში და დიდი გავლენაცა აქვთ მდაბიო ხალხზედ; იმათის მეოხებით უნდა იყოს, რომ იმ სიშორიდგან თითქმის ფეხებ გასისხლიანებული მოდიან ღამის სათევად, რათა თავისი წესი და რიგი შეასრულონ მარჩიელის დარიგებით.

როგორც ყველგან მიღებულია, მეტადრე ჩვენ დასავლეთ-საქართველოში, ამ დღეობაზედ დიდი სტუმრობა და ხარჯი იციან ბახველებმა. იმათი ნათესავ-ნაცნობები იმ დღეს ყოველ მხრიდგან იქ იყრიან თავს, რადგან იციან, რომ თუ იმ დღეს იქ არ დაესწრო, დაემდურება თავისი ნათესავი. რაც უნდა ღარიბი იყოს, მაინც ეს დღეობა ოციდგან დაწყებული ას მანათამდის უჯდება მასახლეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე ამ დღეობას ვიყავი მიწვეული, აზ. მ. და მისი ძმა პ. მახარაძეებისას, სადაც ას სულზედ მეტი იქნებოდა დიდი, თუ პატარა და სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 150 მანათზედ მეტი ხარჯი მოუვიდოდა. იმ დღის ხარჯსაც რომ თავი დავანებოთ, ამტენის სტუმრის სამსახურს დიდი ჯაფა და ტანჯვა უნდება.

მერე დღეობაზედ-კი არა, უბრალო დროსაც რომ ესტუმროთ გურულს კაცს, თუ იმისი სახლიდგან კარგა ლაზათიანად დაზარხოშებული არ გაისტუმრა, სახლის პატრონის გალანძღვად ითვლება. რადგან ეს დღეობა დიდს ზარალს აძლევს ბახველებს, მის გამო, როგორც მითხრეს სარწმუნო კაცებმა, ქიქოძეებს, ამ დღეობის მოსპობა უნდოდათ, რომ სოფლელებისათვის აეშორებინათ ამდენი ხარჯი, მაგრამ ამ სოფლელთა რამდენისამე ყრილობის შემდეგ უარი სთქვეს ამ დღეობის გაუქმებაზედ. მართლაც, დიდს სარგებლობას მოუტანდა თავიდგან აეშორებინათ ეს დღეობა, მაგრამ რადგანაც ყველა ამისი თანახმა არ გახდა, ამის გამო თანდათან ემატება სტუმრობასაც და რასაკვირველია, ხარჯსაც.

თითქმის მთელი ზაფხული შეკვეთილისა და ქობულეთის ზღვის პირები გავსებულია ზღვაში მობანავე ქალებით, რომელთაც ორი და ზოგს და ზოგს სამი ქორფა ბალღებიც-კი დაუტოვებიათ ქმრებისათვის და ვითომ ავადმყოფები დროებას ატარებენ ზღვის ნაპირას. რალაც ორი გროში აუღიათ აბრეშუმის ფასი და იმასაც ჰფლანგავენ და მოდიან შინ ხელცარიელები. მართალია, ზოგიერთ ქალს ექიმები უნიშნავენ ზღვაში ბანაობას, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ იმისთანა ქალები მიდიან საბანაოდ, რომელსაც ჯერ ექიმი არც-კი უნახავთ და ერთი მეორის მიბაძვით,მოუხდებათ თუ აწყენთ, იმას აღარა კითხულობენ. გარდა იმისა, რომ ქობულეთში რკინის გზითაც-კი ბევრნი მოდიან, იმისთანა დღე არ იქნება, რომ სამი და ოთხი ურემი სავსე ქალები არ ნახოთ როგორც აქ, ისე შეკვეთილში. თუმცა ზოგიერთნი სამისა და ოთხის ბანაობის შემდეგ მართლაც კარგა ხდებიან, მაგრამ სირცხვილად მიაჩნიათ, რომ ერთი კვირა მაინც არ გაატარონ ბანაობასა და ცეკვათამაშში. ამისთანა ზაფხულის დღეებში, სადაც ერთი მუშა კაცი მანათი ღირს და რადგანაც მთელის წლის სარჩოა მოსაკრეფი, იქ ბალღების მოვლას უნდება და ჰირნახული-კი ისე უპატრონოდ არის მიტოვებული და მომვლელი არა ჰყავს.

ამის გარდა, შარშან და წელსაც დიდი ძალი ხალხი მიდის «ბახმაროს» მთაზედ, სადაც კარგა ბლომად გაუკეთებიათ საზაფხულო სადგომები. როგორც ამბობენ, ეს მთა ზღვაზედ უარესად არ უხდება ქალებს და ბევრს მათგანს ზღვისთვის თავი დაუნებებია და ახლა იქითკენ უფრო მიეშურებიან. საეჭვო არ არის, რომ მთის ჰაერი უფრო ღონიერია და დიდათაც ჰრგებს ადამიანს ზაფხულობით იქ ცხოვრება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ზღვაზედ უფრო მომეტებული საზიანო არ იქნას სოფლელისათვის იქ უქმად დღე და ღამის გატარება. მოგეცათ ლხენა, ჩვენი ქალებიც რომ იმისთანა ჯაფას იკისრებდენ და გასწევდნენ, როგორც აჭარლების ქალები, მაშინ საზიანო-კი არა, როგორც იტყვიან, ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. აჭარელი ქალები იალაღში, როგორც მაისი დადგება და მთები აიწმინდება თოვლისგან, მაშინვე საქონელს მისდევს და თითქმის ოქტომბრის დამლევამდის იქა სცხოვრობს და აკეთებს ერბო-კარაქს და ყველს. კაცმა თუ თვეში ერთხელ მაინც არის მიაკითხა, ისიც დიდი წყალობაა, თუ არა და, ერთის ბავშვის შემწეობით თითოეული იმათგანი ზაფხულობით რამდენისამე თუმნის ერბო-ყველს აკეთებს და თითქმის ქმარი შვილების ხარჯსა, სახელმწიფო გარდასახადსა და ათას ნაირ სხვა გაჭირვებას ამით ისტუმრებს. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ საქონლის მოშენებას არ მივსდევთ და თუნდა ვიყოლიოთ კიდეც, მაინც ჩვენი „ხანუმები“ იმისს მოვლისათვის თავს არ შეიწუხებენ და სირცხვილადაც მიაჩნიათ ხოლმე საქონლის მოვლა და ერბო-ყველის გაკეთება.

ეხლა მაინც იქნება ღმერთმა მოავხედოს, რადგან აჭარელი და გურული ქალები ზაფხულობით ერთად იყრიან თავს, ერთს იმავე მთაზედ დადიან და, ვინ იცის, იქნება იმათგან საქონლის მოვლა და ერბო-ყველის გაკეთება ისწავლონ. საქონლის მოშენებასაც ხელს მოუწყობს ის უხვი მთა და ბარის საბალახოები, რომელიც გურიას აქვს და თითქმის სხვა ქვეყნის ხალხი იმათს საბალახოებს შეჰნატრის. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს ქალებსაც მიებაძოთ აჭარელ ქალებისათვის და ამითი ოდნავ მაინც დაჰხმარებოდნენ თავიანთს ქმრებს, რომელთაც ათასნაირის გარდასახადისა და გაჭირვებისაგან თავი მაღლა ვერ აუწევიათ. საჭირო მხოლოდ, რომ ამ საქმეს ერთმა მოჰკიდოს ხელი და მერე სხვებიც იმას მიჰბაძავენ ისევ, როგორც ზღვაში ბანაობა მიჰბაძეს.

ივ. ჯაიანი

## საინგილო

—

წრეულს, საინგილოში მოგზაურობის დროს, გავსინჯეთ სიწმიდენი, დაცულნი კაკის მცხოვრებლის ივანე ხუციშვილის სახლში. ამ სიწმიდეთ საზოგადო სახელი არის „ხუციანთ ოთხთავი“ ანუ „ხუციანთ ოჯახი“. როდესაც ამ მშვენიერ ქვეყანაში უფლობდნენ ლეკნი და მტარვალობდნენ ელისოს სულთანნი, „ხუციანთ ოთხთავი“ იყო ერთად ერთი ნავთ-საყუდელი აქაურ ქრისტიანებისა, იგი იყო მათი ნუგეშინის მცემელი, მათი სასოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვანის საცემლად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუციანთ ოჯახში, აქ ალანთებდნენ ხოლმე სანთელს, ალაკმევდნენ საკმეველს და ლმობიერებით ითხოვდნენ შველასა და შემწეობასა. ღირსია ყურადღებისა, რომ ამ „ხუციანთ ოთხთავის“ წინაშე დასაკლავად ყველაზედ უკეთესს მსხვერპლად ხალხის თვალში ითვლებოდა ოთხ რქიანი ვერძი ანუ ოთხ რქიანი ვაცი. ამ გვარ საღმთოს შესაძენად ინგილო არ იშურებდა თავისს ქონებას, რადგან იგი დაიმედებული იყო, რომ ასრეთ მსხვერპლს შეიწირავდა უფალი. „ხუციანთ ოთხთავის“ ბრალია უმთავრესად, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად არ მოსწყდა საქართველოს და დაიცვა თვისი ხალხოსნობა—ქართველობა, თვისი ენა და რჯული—მისივე ბრალია, რომ ლეკთა ძალ-მომრეობამ ვერ დასჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი, და ინგილო ისევ დარჩა ქართველად.

ამ გვარი დიდი ღვაწლი მიუძღვის „ხუციანთ ოთხთავს“ ქართველობის წინაშე და ამიტომაც იგი ღირსია, რომ გავიცნოთ.

გადმოცემის მიხედვით, ხუციშვილების წინაპარი ყოფილა მღვდელი, რომლის შთამომავალნი არიან დღევანდელნი ხუციშვილნი, მცხოვრებნი სოფ. კაკში. ლეკთა მტარვალობის დროს, როგორც ყველა ინგილოებს, ისე ხუციშვილებსაც გარეგნულად მიუღიათ მაჰმადიანობა. მიუხედავად ამისა ინგილოთ ქრისტეს სარწმუნოება არ დაუტოვებიათ და იდუმალად უსრულებიათ ყოველი ქრისტიანებრივი წეს-რიგი და ულოცნიათ ქურმუხის წმ. გიორგი და „ხუციანთ ოჯახი“, რომელშიაც კრძალვით შეუნახავთ ყოველი სამღვდელო ნივთი. აი რა და რა ნივთია დაცული ხუციშვილების ოჯახში.

1. სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერ დაბეჭდილი ტფილისში. სახარებას აწერია: „საღთო და საღვდელო სახარება, აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედ ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლის უფლისა გიორგისა იესიან-დავითიან-სოლომონიანისა შრომითა, ფრიადითა და წარგებითა საფარეთათა მართლ-მადიდებელისა და განათლებულისა საქართველოს გამგებელისა ბატონიშვილისა და თვით უფალ ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა წმიდა ესე ხელითა ნიკოლოოზ მღვდელ მონაზონისა ორბელიშვილისათა. კელითა მესტამბე მიხეილ სტეფანეშვილის უნგრო ვლახელისა ქალაქსა ტფილისისასა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ცხრასა“.

2. კრებული, რომელიც შეიცავს: ლოცვანს, ჟამნს, ზადიკს, სამოციქულოს. არშიაზე აქვს წარწერანი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, უღირსი“; უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად უღირსი ამ წიგნის მჩხრიბავი ლავრენტი მონაზონი, ჯვარის-მამის აღზრდილი ბერი“.

ბოლოში ჩამატებულია:

იწყების ქორონიკონი ესე: ტოზ (=1689 წ.) ამავე ქორონიკონსა გამეფდა ერეკლე ქართლის. ამავე ქორონიკონსა კახნი ჰარს მოუხდნენ და გატეხეს და მრავალი ზიანი უყვეს; და ჩვენ მოგვიკლეს ენდრონიკაშვილი აბელ მოურავი, და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთხუცის შვილი და იქმნენ მოწამეთა თანაზიარ თვესა მაისსა 15, დღესა კვირიაკესა.

ამავე ქორონიკონსა დაჯდა ალექსანდრე... ...ქორონიკონსა ტპზ (1699 წ.) მეფის ერეკლეს ჟამში.

ქ: ღმერთმა:. ბედნიერის:. კელმწიფის:. ჭირი:. და:. სატკივარი:. მისცეს:. აბრამ მღრდელს:. ქ: ა: ბ:... ღმერთო:. მიეც გულის:. ყური:. ისწავოს და გემსახუროს: ამინ:. და კირილეისონ.

შენიშვნა. მეფის ერეკლეს ტფილისში შესვლას ვახუშტი უჩვენებს 1688 წელს. კახთა ჰარს მიხტომის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიდნენ ელისენსა შინა (ელისენი ჰქვიან ალაზნის მარცხენა კიდეზედ მდებარე ნაწილს საინგილოსას). ევედრნენ ჭარელნი და აღუთქმიდნენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა მოსწყვიტონ. ესე არა ინებეს კახთა და შეუხტნენ. ვერ წინა-აღუდგნენ ჭარელნი და ამათ ამოსწყვიტნნეს და შემუსრნნეს სიმაგრენი მათნი და ნაალაფევნი დადგნენ ჭარსა შინა, რამეთუ განეზრახათ სამ დღე მუნადამ რბევა და ტყვენვა მარად-დღე. არა-

მედ გლეხთა რა იხილეს ალაფი დიდი, აღიტვირთნენ და წარმოვიდნენ. აღუძნდათ ესე მთავართა ფრიად, გარნა არღარა უჰმინეს. ამის მხილველთა ქარელთა უწყეს თვითოეულმან ცემა თოფთა, მოკლეს თუშთა და მრავალნი წარჩინებულნი და ივლტოდნენ კახნი“. ეს ამბავი ქართლის ცხოვრებით მომხდარა 1695 წელს.

3. კონდაკი, 4, კურთხევანი, 5, კონდაკი, 6, დაუჯდომელი, 7, ფეშხუმი, 8, ბარძიმი ჩუქურიმიანი, 9, ღრუბელი, 10, სამირენება ჩინური თიხისა, 11, სანაწილე, მსგავსი საათისა, რომაულის ციფირებით, კალისა, 12, სეფისკვრის ბეჭედი მარმარილოს ქვისა, ზედ-წარწერით: „იესო ქრისტე ძლევა“, 13, ჯვარი ვერცხლისა დროშაზე გასაკეთებლად, ხუთის თვლით, 14, ჯვარი პატარა ყვითელის თითბრისა, 15, ჯვარი პატარა, გულზედ საკიდი და 16, ბარძიმი ვერცხლისა, ზედ-წარწერით: „ქ: შემომიწირავს: მე: ნაცვალს: ბერუკას: ესე: ბარძიმ-ფეშხუმი: ყოვლად წმიდის: ღვთის: მშობლისათვინ: ჯიმშიტას: სადღეგრძელოდ: და ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობლათა.

ვინ არიან ბერუკა, ჯიმშიტა, აბრამ მღვდელი, ლავრენტი მონაზონი, დიაკონი იოსები ჩვენი ისტორიიდამ არა სჩანს. არც ზეპირ გადმოცემას შეუნახავს მათ შესახებ ცნობა.

ესომ

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალის «Новое Слово»-ს ოქტომბრის წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ქ-ნის პოკროვსკისა შესახებ ღარიბ ხალხის სადგურებისა ქალაქებში. ქ-ნი პოკროვსკისა სწერს:

ყველა სახელმწიფოში სცდილობენ როგორმე გააუმჯობესონ ღარიბ ხალხის სადგურები. კერძო კაცები ჰკრებენ ფულს და არა ჰზოგავენ მეცადინეობას ღარიბ ხალხის სადგურებისა და საზოგადოდ მათის ცხოვრების განკარგებისთვის. არსდება სხვა-და-სხვა საზოგადოებანი, რომელთაც საგნად აქვთ შეუძლებელ სალხისთვის იაფად სახლების აშენება და სხვ.

რუსეთში-კი ამ საქმისათვის სრულებით არავინა ზრუნავს, თუმცა აქ უფრო სავალალოა მუშათა ვითარება. პეტერბურგში, მაგალითად, 290 ათასი მუშაა, მათი ოჯახობაც რომ ჩავთვალოთ, სულ 406 ათასი სული იქმნება.

სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ მუშათა შორის თითო ოთახში სცხოვრობს 100 და ორ ოთახში 163 სული. რაც უნდა დიდი ოთახები იყოს, ეს რიცხვი მაინც მომეტებულზე მეტია. რა ვიწროობა, უსუფთაობა და მოწამლული, სულის შემხუთველი, ჰაერი უნდა სუფევდეს ამ სახლებში!

იმავე ცნობებიდგან სჩანს, რომ პეტერბურგში 7,374 სადგურია სარდაფებში, სადაც 49,569 კაცი სცხოვრობს და ჩარდახებში—3,499 კაცი, სულ ამ სადგურებშია 70,653 სული.

რა ზნეობა უნდა მოსთხოვო იმ ოჯახს, რომელიც სადღაც ერთ კუთხეშია მიკუნჭული. რა აზრი და პატიოსანი გრძნობა უნდა დაებადოს იმ კაცს, რომელიც ოც კაცთან ერთს კუთხეშია მიკუნჭული?

—

ნოვგოროდის საგუბერნიო ერობის კრების ანგარიშში დაბეჭდილია შემდეგი მოხსენება ხმოსნის ოკუნევისა:

ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა მაზრებიდგან თხოულობენ, ექიმები და ფერშლები გამოგვიგზავნეთო, მაგრამ ექიმების შოვნა თან-და-თან ძნელდება და დედათა საექიმო სასწავლებელი კი აგერ 10 წელიწადია რაც დაიკეტა და ამ სასწავლებლის გადაკეთება დაევალა კომისიებს. ამ ჟამად ჩვენთვის მეტად საჭიროა ექიმები და ამიტომ მოვალენი ვართ მივმართოთ მთავრობას და ვსთხოვოთ, დედათა საექიმო სასწავლებელი ისევ იქმნეს დაარსებული.

კრესტეცკის მაზრაში უწინ რამდენიმე ექიმი ქალი იყო, ეხლა-კი მარტო ერთია. უსტუჟცკის მაზრაში, როგორც ნამდვილად ვიცი, ორი წელიწადია, რაც ექიმ ქალს დაემებენ და ვერსად უპოვნიათ. ზოგი ექიმი ქალი უკვე გარდაიცვალა, ზოგი ადგილზეა. აგერ 10 წელიწადი გავიდა, რაც დედათა საექიმო სასწავლებელი დაიკეტა და ექიმ-ქალთა რიცხვს თან და თან აკლდება და მალე სრულებითაც აღარავინ იქმნება. ზოგიერთ სხვა ერობათაც მიაქციეს ამ საქმეს ყურადღება და ჩვენც, ვითარცა წარმომადგენელნი ნოვგოროდის ერობისა, უნდა მივმართოთ მთავრობას და ვსთხოვოთ, რაც შეიძლება მალე გადასწყდეს საქმე დედათა საექიმო სასწავლებლისა.

## უცხოეთი

—

**იაპონია.** ჰიროშიმიდგან დეპეშით იუწყებიან: მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა პროექტი შესახებ იმისა, 100 მილიონი იენი ვისესხოთო. მიღებულია სხვა ღონისძიებანი ომისათვის ხარჯის დასაფარავად. პრეზიდენტმა წარადგინა ადრესი სეფე სიტყვის საპასუხოდ. ადრესი ასე თავდება: „თქვენს უდიდებულესობას ჩინეთი სამართლიანად მიაჩნია ცივილიზაციის მოწინააღმდეგედ. ჩვენ გვსურს დავეხმაროთ თქვენს სურვილს და რქა მოვტეხოთ ჩინეთის ბარბაროსულ ჯიუტობას“.

პარლამენტის სესიის დაწყების დროს მიკადომ სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: სამწუხაროდ ჩინეთს დაავიწყდა თავისი მოვალეობა—იაპონიასთან ერთად დაეცვა მშვიდობიანობა აღმოსავლეთში. რაც უნდა მოხდეს პასუხის მგებელი ჩინეთი იქმნება. რადგანაც ომი უკვე დაიწყო, იმ დრომდე არ დავწყნარდებით, ვიდრე ჩვენს გულის წადილს არ ავისრულებთ. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეშევრდომნი დაეხმარებიან მთავრობას, რათა ჩვენის გამარჯვებით ისევ მშვიდობიანობა დავამყაროთ.

—

**აღმოსავლეთის ომი.** იაპონელებმა ჩინელების წინააღმდეგ ბრძოლის ასპარეზი კორეიდგან „ციურ სამეფოს“ მიწა-წყალზედ გადაიტანეს. იაპონიის ფლოტს დიდს საყურადღებო საგნად აქვს გარდაქცეული ნავთ-სადგური ჩეფუ, რომელიც პეჩილიის შესავალშია და რომელიც ნახევარ კუნძულის ჩან-ტოუნგის ჩრდილოეთითა სდევს. ეს ნავთ-სადგური ჩინელების ერთი უპირველესი ნავთ-სადგურთაგანია. ზაფხულობით აქ იკრიბებიან ხოლმე ჩინეთში მცხოვრებელნი უცხო ქვეყნელნი და აქა სტკბებიან ბუნების მშვენიერის სურათებით და ზომიერის ჰავითა. აქვე იმყოფება უსაჭიროესი მანუფაქტურა იარაღისა, თოფხანა, დამოქნა, მარილის საწყობები, გემების გასაკეთებელი ქარხნები, ზღვათა-მმართველობა და ზღვაოსნობის სასწავლებელი.

—

ამ უკანასკნელს დროს გაზეთებში ხშირად იხსენიებენ არტურის ნავთ-სადგურს და თაკუსა. მართლაც პეჩილიის ყურეს და აქედგან თვით „ციურ სამეფოს“, დაცვისათვის უპირველესი მნიშვნელობა ამ ორს ნავთ-სადგურსა აქვს. ყვითელ ზღვიდგან პეჩილიის ყურეში გაისვლება განიერის სრუტეთი, რომელიც ორ-ნახევარ კუნძულ—სამხრეთით შანტუნისა და ჩრდილოეთით ლიატუნგის—შორის მდებარეობს. თვით ბუნებას დაუფარავს პეკინი ზღვის მხრიდგან, მაგრამ ჩინელებმა გვიან ისარგებლეს ამ ბუნებრივ სიმაგრით და გვიან შეიგნეს მისი მნიშვნელობა. როდესაც (1870 წ.) რუსეთისა და ჩინელების ურთიერთობა გამწვავდა, პეჩილიის ვიცე-კოროლმა ლი-ხუნგ-ჩანგმა მიანდო ჩინეთის სამსახურში მყოფს გერმანელს კაპიტანს განეკენს, სამხრეთის ნახევარ კუნძულზედ საჰხედრო ნავთ-სადგურის ასაგები ადგილი მოეძებნა. განნეკენმა სწორედ ის ადგილი ამოირჩია, სადაც ეხლა არტურის ნავთ სადგურია.

რუსეთსა და ჩინეთს შორის მომხდარმა უთანხმოებამ მშვიდობიანათ ჩაიარა, მაგრამ არტური რამდენიმე წლის შემდეგ გამოადგათ ჩინელებსა, იმ დროს, როდესაც ფრანგებთან უთანხმოება მოუხდა. ადმირალ კუბეს ეგონა, არტურის ნავთ-სადგური ადვილი ასაღებიაო, ხოლო როდესაც კარგად გაიცნო ეს სიმაგრე, იძულებული იყო თავისს ხომალდების გაძლიერება მოეთხოვნა: მაგრამ ბრძოლამდის საქმე არ მისულა და აქამდის გამოურკვეველია, თუ მართლა რა ძალა აქვს ამ სიმაგრესა.

მეორე სიმაგრე პეჩილიის ყურის და პეკინის დაცვისათვის, თაკუს სიმაგრეა. ამ სიმაგრის აშენება 50 წლებში დაიწყეს და ბოლოს გამოჩენილმა განნეკენმა დაამთავრა გარდონის გეგმის თანხმად. მდ. პეიხის შესავალთან ამართული სიმაგრეები, ტიანძინსა და პეკინის გზას იცავენ და ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვთ. 21 აგვისტოს 1860 წ. ინგლისელებსა და ფრანგებს ჰსურდათ ეს სიმაგრეები აეღოთ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. გარდა ამისა ჩინელებმა ზღვაში სამი სამხედრო გემი დაღუპეს ინგლისელებსა. 21 აგვისტოს 1880 წელს სამხრეთის სიმაგრეები იერიშით იქმნა აღებული, მაგრამ მოკავშირეებს 34 აფიცერი და 400 ჯარის კაცი მოუკლეს, მხოლოდ ჩინელებს მარტო 1000 კაცი დააკლდათ. თაკუს სიმაგრეების აღებაზედ იყო დამყარებული ყველაფერი და პეკინი კიდეც დაიპყრეს. მას შემდეგ თაკუს სიმაგრეები განაახლეს, სხვა სიმაგრეები მიუმატეს და უფრო გააძლიერეს სამხედრო იარაღებით.

## თეატრი და მუსიკა

—

კვირას, 16 ოქტომბერს, „ტფილისის კრუჟოკში“ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენების გამართვა დაიწყება. რეჟისორად, მთელი სეზონის გასმავლობაში, მიწვეულია არტისტი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

—

სომხური თეატრი ტფილისში აქამდის კერძო კაცთა ხარჯით სულდგმულობდა, რომელთაც რაკი ერთხელ იზარალეს, ვეღარ გაჰბედეს ამ სეზონშიაც გაემართათ სომხური წარმოდგენები. ეხლა გაზეთმა „მშაკმა“ თავისს მეთაურ წერილში ამ საქმის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ის ფული, რომელიც «სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებასა» და ბაქოელს ღალაევს აქვს შენახული (6000) თეატრს მოახმაროთ და წრეულსვე დავიწყოთ წარმოდგენებიო. ეს ფული თეატრის საქმის გასაუმჯობესებლად არის შეწირული და ამიტომ ეხლავე მოვახმაროთ ამ საქმესაო.

—

ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს, უკანასკნელი წარმოდგენა ჰქონდა კუკის ცირკს. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. შემდეგ ცირკის პატრონის მაგიერ ერთმა მოთამაშეთაგანმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, რის გამოც საზოგადოებამ ორჯელ-სამჯერ გამოიწვია ბ-ნი კუკი და ტაშის ცემით დააჯილდოვა. ცირკი ტფილისიდგან გუშინ დილით წავიდა ქუთაისს, სადაც პირველი წარმოდგენა დღეს, შაბათს, ექნება. ქუთაისში ორიოდე კვირას დარჩება ცირკი და შემდეგ ბათუმში აპირებს წასვლას.

## გასართობი

—

ვევერვილში (კალიფორნიაშია) სადილი გაჰმართეს, რომელზედაც მიპატიჟებული იყვნენ იქაური ქალები თავიანთის შვილებით. ყმაწვილებმა საშინელი ღრიანცელი შეჰქნეს, რის გამოც მუსიკის ხმა აღარ ისმოდა და ამიტომ ყმაწვილები ცალკე ოთახში შეიყვანეს და ზედამხედველად რამდენიმე ახალგაზდა ყმაწვილი დაუყენეს. ამ ახალგაზდა გამდლებმა სასაცილოთ ბავშვებს ტანთსაცმელი შეუცვალეს: ქალებს ვაჟის ტანისამოსი ჩააცვეს და ვაჟებს ქალისა. საღამოზედ ცეკვით დაღალულმა დედებმა ვეღარ გაარჩიეს თავიანთი შვილები და ვისაც ქალი ჰყავდა, ქალის ტანისამოსიანი წაიყვანა და ვისაც ვაჟი, ვაჟის ტანისამოსიანი. შინ მისვლისათანავე დაღალულებმა დაიძინეს. მეორე დღეს საშინელი ამბავი მოხდა: არცერთს დედას თავისი შვილი აღარა ჰყავდა: ქალის დედას ვაჟი აღმოუჩნდა შვილად და ვაჟის დედას ქალი. ყველას დედ-მამა მთელს ქალაქში დარბოდნენ მთელი 4 დღე და თავიანთ შვილები ძლივს იპოვნეს.

**

ამერიკის შტატს პორტლენდში გასაოცარი სახლობა სცხოვრობს. ვიღაც ქვრივმა ვ—მ, ორის ვაჟიშვილის მამამ, შეირთო ლამაზი ქვრივი ქალი, რომელსაც ორი ქალი ჰყვანდა. რამდენისამე წლის შემდეგ ვ. გარდაიცვალა და დარჩა კიდევ ქალ-ვაჟი. ამ ვ. უფროსმა ვაჟმა შეირთო დედინაცვალი და ეყოლა ქალი. ნეტავი რა ნათესავი იქნება ეს ქალი ვ. შვილებისა? მაგრამ ამითი არ გათავდა ამ უცნაურის ოჯახის ამბავი. მეორე ვ. ვაჟმა შეირთო დედინაცვლის ქალი და ერთის წლის შემდეგ ტყუპი მიეცა. მაშასადამე, უმფროსი ქალი ქ-ნი ვ. იქმნება მამიდაც და ბიძაშვილიც ამ ახლად დაბადებულებისა, რომლებიც დისწულები იქმნებიან ქ-ნი ვ. ქმრისა და მისი შვილი-შვილებიცა. ნეტა რას ეძახიან ერთმანეთს ეს უცნაური ნათესავნი?

პეტერბურგის ბირჟა, 11 ოქტომბ

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,51 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $149\frac{1}{4}$ | $150\frac{1}{4}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 238 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 218 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | $189\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | — „ | $101\frac{3}{4}$ |
| 5% . . . . . | — „ | — „ | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | — „ | $101\frac{3}{4}$ |
| 5%. . . . . . . | — „ | — „ | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 99 „ | — „ |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა“ ამით აუწყებს ყველა სცენის მოყვარეთ, რომელთაც სურვილი და ხალისი აქვთ მომავალ სეზონს მიიღონ მონაწილეობა ქართულ წარმოდგენებში, მოსალაპარაკებლად მიჰმართონ ამავე ამხანაგობის წევრს

ვალერიან გუნიას

ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 7.

ვ. გუნიასვე მიჰმართონ იმათ, ვისაც ან ორგინალი ან ნათარგმნი პიესები აქვთ თეატრში წარმოსადგენად.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ პიესასთან თავიანთ პირობებიც უნდა გამოჰგზავნონ. (8—მ.—8)

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში

**ოსანა მკითხავი**

მოთხრობა
თავ. იასონ ციციშვილისა
ფასი 15 კაპ.
(3—მ.—3)

---

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

უთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგითში კ. თავართქილაძესთან.

# ქრისტინე

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |

---

კბილის ექიმი
# ვ. ი. ჭიჭინაძე
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—14)

---

ქ. ქუთაისში
ექიმი გ. მ. ფრენკელი

მიიღებს ავადმყოფთ ყოველდღე დილის 9—12-მდე და განსაკუთრებით ათეშანგით და შარდისა და განის სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდე.

ადრესი: ტფილისის ქუჩა, მიქელაძის სახლი, № 35.

(3—1779—2)

---

РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“
ПРЕДПРИНЯТО
НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ
## собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать **ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ** сочиненія образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соотвѣтственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составитъ **ВЪ ГОДЪ 24 ТОМА** (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

**Въ настоящее время ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:**

### 1) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ
**ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.**

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

### 2) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ
**ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.**

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

**Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ** (цѣна 6 р., съ доставкой и пересылкой 8 р.) пользуются разсрочкой платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

**Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.**

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ** въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул. (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостин ый дв Зеркальная л., 63, магаз. Пантелеева (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ **Θ. И. Булгаковъ.** Издатель **Г. Θ. Пантелеевъ.**

(8—8)

---

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

**„ურბენი“ (L'URBAINE)**

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოებამ „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებსკადიან გარდასახადისაგან და პოლის ს-ც ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი აზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასო გაეგზანებათ.

(40—1061—20)

---

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . . | 9 „ 50,, | | 5 „ . . . . | 5 „ 50,, | |
| 10 „ . . . . | 8 „ 75,, | | . . . | 4 „ 75,, | |
| 9 „ . . . . | 8 „ —,, | | 3 „ . . . . | 3 „ 50,, | |
| 8 „ . . . . | 7 „ 25,, | | 2 „ . . . . | 2 „ 75,, | |
| 7 „ . . . . | 6 „ 50,, | | 1 „ . . . . | 1 „ 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზაენოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

---



ვერცხლისა



ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

**ტფილისში, იარმუკაზედ.**

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლით აქ საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბოლდასურათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს კუთვნის; ალექსანდრე მუნთო ვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიგის ფერად აგზალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც გუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—33 ალალო თუთაევი